საქართველოს პარლამენტი

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ფამფ. 26

N 7513
10/05/2017

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ასლი საორგანიზაციო დეპარტამენტს

ინფორმაცია

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ზვიად კვაჭანტირაძის ესპანეთის სამეფოში ვიზიტის თაობაზე (29-30 აპრილი 2017 წ.)

მიმდინარე წლის 29-30 აპრილს, ესპანეთის ქართული დიასპორული ორგანიზაციების, ქართული სათვისტომოსა და ქართული მართლმადიდებელი მრევლის მიწვევით, სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი ესპანეთის სამეფოში.

ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ ბარსელონაში, საქართველოს საკონსულოში, სამუშაო შეხვედრები გაიმართა ესპანეთის სხვადასხვა ქართული დიასპორული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. კერძოდ, შეხვედრები შედგა ბარსელონის ქართული ემიგრაციის ორ დელეგაციასთან, ასევე ქალაქ□□□: ჟირონას, ალიკანტეს და ვალენსიის ქართული სათვისტომოების ხელმძღვანელებთან, ესპანეთში მოღვაწე სამეცნიერო და კულტურული წრეების ქართველ წარმომადგენლებთან და ცალკეულ მოქალაქეებთან.

შეხვედრებზე განხილული იქნა ქართული დიასპორისათვის პრობლემური საკითხები. ყურადღება გამახვილდა სათვისტომოების უკეთ ფუნქციონირებისა და ქართულ სახელმწიფოსთან მათი კონტაქტების/თანამშრომლობის გაღრმავების თემატიკაზე, ემიგრაციასთან ურთიერთობების შენარჩუნებისა და გაძლიერების მიმართულებით თანამედროვე მიდგომებსა და პრაქტიკაზე, ამ კუთხით სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე. შეხვედრის მონაწილეებს გავაცანი ქართული სახელმწიფოს მიდგომა და ხედვები დიასპორებთან ურთიერთობის საკითხზე, ჩვენი გამოცდილება და პოლიტიკა უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან და დიასპორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სფეროში. ასევე, მსჯელობები გაიმართა დიასპორისა და მიგრაციის სხვა მნიშვნელოვან პრობლემატიკაზე.

ესპანეთში ქართული სათვისტომოების საქმიანობის მთავარ ხელშემშლელ მიზეზად დასახელდა სათანადო ადმინისტრაციული ოფისების არარსებობა. აღნიშნული უარყოფითად აისახება როგორც სათვისტომოების ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ჩამოყალიბებაზე, ისე - ადგილსამყოფელ ქვეყანაში (ქალაქი/რეგიონი) მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების დამყარებაზე (კონტაქტებზე). გამოითქვა წინადადებები,

სათვისტომოებისათვის ფართის ქირაობის მიზნით, შესაბამისი ფინანსების მოძიებისა და დონორებთან კონსულტაციების გამართვის თაობაზე.

სამუშაო შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ ესპანეთში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ქართული საკვირაო სკოლებისა და სხვა ტიპის ქართული საგანმანათლებლო კერების, მათ შორის ფოლკლორული ანსამბლების, გამართული ფუნქციონირება, რაც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. აღინიშნა, რომ საჭიროა ქართული სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საზოგადოების მხრიდან ამ საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების აქტიური მხარდაჭერა, კვალიფიციური პედაგოგებით უზრუნველყოფა, სათანადო ინვენტარით (წიგნები, ეროვნული/საცეკვაო სამოსი და სხვა) აღჭურვა.

შეხვედრებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ხელისუფლების მიერ ქართულ ემიგრაციასთან მიმართებით გასატარებელ ღონისძიებებს. შევთანხმდით მომავალ თანამშრომლობასა და საპარლამენტო კომიტეტთან აქტიური კონტაქტების დამყარებაზე, მათ შორის, სოციალური მედიის საშუალებით.

ვიზიტის ფარგლებში, 30 აპრილს, ქალაქ ბარსელონაში, მონაწილეობა მივიღე წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და საკვირაო სკოლის ოფიციალური გახსნის ცერემონიაში.

საქართველოს პარლამენტის სახელით, ქართულ ეკლესიას საჩუქრად გადავეცი ივერიის ღვთისმშობლის ხატი, ახლად დაარსებულ საკვირაო სკოლას - წიგნი-ალბომი, წიგნები, ხოლო ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებს - სხვა სამახსოვრო საჩუქრები.

აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები საქართველოდან. ცერემონიის ფარგლებში, გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საკვირაო სკოლის ქართველმა მოსწავლეებმა.

ღონისძიების დამთავრების შემდეგ, მოეწყო ქართული ემიგრაციის მრავალრიცხოვან აუდიტორიასთან (დაახლოებით 300 მონაწილე) შეხვედრა, რომელიც წარიმართა ორმხრივი დიალოგისა და კითხვა-პასუხის ფორმატში. საუბარი შეეხო მათთვის საინტერესო საკითხებს: ვიზალიბერალიზაციის შეთანხმებას, არალეგალურ და ლეგალურ მიგრაციას, რეადმისიას, სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციასა და დასაქმებას, ქართული დიასპორული ინვესტიციების მხარდაჭერას, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის მართვის მოწმობებთან დაკავშირებული იურიდიულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრას, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეფექტურ მუშაობას, სხვა დამატებითი გამარტივებული სერვისების შემოღებას, უფასო სახელმწიფო იურიდიულ დახმარების დანერგვას, საპენსიო საკითხებს და ა.შ.

შეხვედრის მონაწილეებს მივაწოდე ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე აქტუალური მოვლენებისა და იმ საკითხების შესახებ, რომელთა გადაწყვეტითაც დაკავებულია საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი.

შევთანხმდით, რომ გაგრძელდება მუშაობა იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც დასმული იქნა ქართული ემიგრაციის მხრიდან და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, ახლო მომავალში, ეცნობებათ საკონსულოს მეშვეობით. გამოითქვა მზაობა სამომავლო ერთობლივი ღონისძიებების მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე.

პატივისცემით,

ზვიად კვაჭანტირაძე

თავმჯდომარე